ქ. რუსთავში წმინდა ნინოს ქუჩის ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. რუსთავი

2011 წელი

სარჩევი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები 3
2. ტექნიკური დავალება 4-5
3. დანართი №1..... 6-7
4. დანართი №2. 8
5. დანართი №3. 9
6. დანართი №4. 10
7. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 11-13

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. **საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

1.1 იურიდიული პირისათვის და ინდივიდუალური მეწარმისათვის:

ა. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან;

ბ. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (გარდა ინდ. მეწარმეებისა)

დ. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დ.ღ.გ.-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;

გ. ცნობა სასამართლოდან რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ.ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან, ფიზიკური პირის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დ.ღ.გ.-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

2. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
3. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაში (2008-2010 წ.წ. არანაკლებ 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის, შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები) და შესაბამისი სამუშაოს განსახორციელებლად საჭირო მანქანა–მექანიზმები (წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ #4–ში მითითებული ტექნიკის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
4. ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს ,,სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპს, კერძოდ: ,,ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსს.
5. ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში (ზუსტი ვადა დაზუსტდება მოთხოვნისას). არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
6. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
7. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:

კონსტანტინე მეტონიძე - 877 95 30 27 824 12 10 94

<u>პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი განფასებული დანართი №1, მისი რეკვიზიტები - დანართი №2, სატენდერო წინადადების ფორმა დანართი №3, დანართი №4 და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე–3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია სისტემაში ატვირთულ უნდა იქნას ტექნიკურ დავალებასთან (ან შემსყიდველის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ ტექნიკურ დავალებასთან თანხმობის წერილი) ერთად.</u>

ტექნიკური დავალება

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. რუსთავში წმინდა ნინოს ქუჩის ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
2. ზემოაღნიშნული სამუშაოს შესრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში, პრეტენდენტის მიერ განფასებულ დანართ №1-ში და ტექნიკურ დავალებაში მითითებული აღწერილობითა და სამუშაო ნახაზებით (თან ერთვის)
3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის ,,ა"-,,ე" ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე:
   ა. ანგარიშსწორება წარმოებს ,,მიმწოდებლის" მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა №2–სა და ანგარიშფაქტურის (დ.ღ.გ.–ს გადახდის შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ფორმა №2 დამოწმებული უნდა იყოს ტექ. ზედამხედველისა და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მიერ, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნისა და მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.
   ბ. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს სტატუსის: ხელშეკრულება დადებულია, დასრულებულია უარყოფითი შედეგით ან ტენდერი შეწყვეტილია მინიჭებამდე.
   გ. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1% ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მინიმუმ 30 კალენდარული დღით, ტენდერის სტატუსის ,,წინადადების მიღება დაწყებულია" მინიჭების ეტაპიდან.
   დ. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების მიწოდების ვადას.
   ე. წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი დაზუსტდება ,,შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების გაფორმებისას.
4. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
5. სატენდერო ობიექტის სამუშაო ადგილის შემსყიდველის მითითებით
6. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე; იგი ვალდებულია აწარმოოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით. უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა; მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა; სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 1 კვირის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;
7. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.
8. სამუშაოს შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები
9. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი:
   – შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ანაგარიშფაქტურისა და ფორმა №2–ს საფუძველზე ტექ. ზედამხედველის დადასტურების შემდეგ, ხოლო საბოლოო მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშფაქტურისა და ფორმა №2–ს საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხოლოდ თვითმმართველ ქალაქ რუსთავში წარმოებული სამშენებლო–სარემონტო სამუშაოებიის მიმღები ჯგუფის მიერ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
10. შესრულებულ სამუშაოზე გარანტია უნდა იყოს ობიექტის თვითმმართველ ქალაქ რუსთავში

წარმოებული სამშენებლო–სარემონტო სამუშაოებიის მიმღები ჯგუფის მიერ ექსპლუატაციაში მიღებიდან არანაკლებ 7 (შვიდი) წელი.

შენიშვნა: ქვე–კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ქვე–კონტრაქტორის დასახელება და მისამართი
2. შესასრულებელი სამუშაოს დასახელბა
3. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება
4. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილების შესახებ (არანაკლებ 3 წელი, 2008-2010 წ.წ. არანაკლებ 100,000 ლარის შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები)
5. ქვე–კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოსმთლიანი ღირებულების 40%–ს.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ქ. რუსთავში წმინდა ნინოს ქუჩის ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	მ ა ს ა ლ ა		ხელფასი		ტრანსპორტი მექანიზმები		ჯამი
				ერთეულის ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	I ორმული დამუშავება									
1	ორმოების დამუშავება პნ. ჩაქუჩებით სისქით 5სმ	მ3	7,5							
2	ნაშალის დატვირთვა ხელით ა/თვითმცლელებზე	მ3	9							
3	ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში 5კმ მანძილზე	ტ	16,9							
4	ორმოების დამუშავება ბიტუმის ემულსიით 0,3ლ/1მ2	ტ	0,05							
5	ორმოების მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 5სმ	მ2	150							
	II. ბორდიურების მოწყობა									
1	არსებული ბეტონის ბორდიურებისა და საფუძვლის დაშლა პნ. ჩაქუჩებით ა/თვითმცლელებზე დატვირთვით	მ3	57,4							
2	ნაშალის დატვირთვა ა/თვითმცლელებზე მექანიზმებით 90%	მ3	51,6							
3	იგივე, ხელით 10%	მ3	5,8							
4	ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში 5კმ მანძილზე	ტ	137,8							
5	ბეტონის ახალი ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე 15სმX30სმ	გრძ/მ	557							
	III ფრეზის სამუშაოები									
1	არსებული ა/ბეტონის საფარის მოფრეზვა სისქით 2სმ	მ2	2039							
2	ნაფრეზ მასალაში ბიტუმის ემულსიისა (1,4კგ/1მ2) და ღორღის 50% გარევა და შემასწორებელი ფენის მოწყობა $h_{საშ}$=3,5სმ	მ2	2039							
	IV სათვალთვალო ჭები									
1	სათვალთვალო ჭების ამოწევა საპროექტო ნიშნულზე	ც	9							
2	ბეტონი მ-300	მ3	1							
	V სახანძრო ჰიდრალტი									
1	სახანძრო ჰიდრალტის მოწყობა	ც	2							
	VI მიერთებების მოწყობა									
	ფრეზის სამუშაოები									
1	არსებული ა/ბეტონის საფარის მოფრეზვა სისქით 4სმ	მ2	343							
	VII განივი პროფილის აღდგენა									

1	ბიტუმის ემულსიის მოსხმა 0,3ლ–1მ2	ტ	0,72							
2	შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით $h_{საშ}$=3სმ	ტ	174,4							
3	ა/ბეტონის საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივია/ბეტონის ცხლელი ნარევით სისქით 4სმ ტიპი „b"	მ2	2382							
	VIII ტროტუარების მოწყობა									
1	ქვიშახრეშოვანი ნარევის მოწყობა სისქით 12სმ	მ3	10,8							
2	შემასწორებელი ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0–40მმ $h_{საშ}$=5სმ	მ2	728							
3	ტროტუარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით	მ2	1121							
	სულ I-VII თავების ჯამი:									
	ზედნადები ხარჯები —%									
	ჯამი									
	გეგმიური დაგროვება —%									
	ჯამი									
	გაუთვალისწინებელი ხარჯები არანაკლებ (3%)									
	ჯამი									
	დ.ღ.გ. (18%)									
	ჯამი									

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

სატენდერო წინადადება

სატენდერო წინადადების ფასი _____

სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს სტატუსის: ხელშეკრულება დადებულია, დასრულებულია უარყოფითი შედეგით ან ტენდერი შეწყვეტილია მინიჭებამდე.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

№	ტექნიკის და ტრანსპორტის დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	2	3	4
1	სამტვრევი ჩაქუჩი	ცალი	5
2	დამტვირთავი	ცალი	3
3	ექსკავატორი	ცალი	2
4	ფრეზი	ცალი	1
5	ავტოთვითმცლელი	ცალი	10
6	ამწე 10 ტ	ცალი	1
7	ბეტონმზიდი	ცალი	1
8	გრეიდერი	ცალი	2
9	სატკეპნი	ცალი	5
10	გუდრონატორი	ცალი	1
11	ასფალტოდამგები	ცალი	2

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. რუსთავი 2011 წელი

ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის კახა გურგენიძის სახით და მეორეს მხრივ, --- (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“. ,,კვირა“, ,,თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებეს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე“ - ,,შემსყიდველი“ ან/და ,,მიმწოდებელი“.

1.7 ,,სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ---------- **(CPV ----------)**

2.2 ,,მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია დანართი №1–ში და ტექნიკურ დავალებაში ასევე სამუშაო ნახაზებში (თან ერთვის).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **--------** (----------) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;

ბ) ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

გ) ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

6.1 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი

6.2 სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველი“ უფლემაბოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული სამუშაო.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) იმ შემთხევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება დანართი №1-ისა და ტექნიკურ მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსზღვრული პირი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,1%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **1%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ხელშეკრულების ღირებულების 5%), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას როგორც მის განუყოფელ ნაწილი, მოქმედებს ————

12.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშკერულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას)

შემსყიდველი **მიმწოდებელი**